ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3301086

ნომერი: AR1508708

თარიღი : 29.05.2017

გაცემის თარიღი : 06.06.2017

გაცნობის თარიღი : 06.06.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , წალენჯიხის (კახეთის გზატკეცილი) 2/15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მირიან ქოიავა პ/ნ 01024023382
- კოტე აფხაზის ქ. #22

ორგანიზაცია:

- შპს მოდელების სახლი მატერია კოდი: 204470027

ნომენკლატურა :

- I კლასი
- დროებითი (საძირკველის არ მქონე) შენობა-ნაგებობა
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად საჭიროა წარმოადგინოთ შემდეგი:

- არსებული სიტუაციის ტოპოგრაფიული გეგმა მიწის ნაკვეთზე არსებული ყველა ხე-ნარაგვის დატანით და ამავე ტოპოგრაფიულ გეგმაზე დამუშავებული გენ-გეგმა საპროექტო შენობის განთავსების ზუსტი ადგილის დატანით. ასევე გენ-გეგმაზე მიეთითოს არსებული ხე-ნარგავებიდან საპროექტო შენობამდე დაცილების მანძილები და გაითვალისწინეთ, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის №10-40 დადგენილებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-55 დადგენილებაში. აღნიშნული დადგენილების 26-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, დაინტერესებული პირის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას მინიმალური დაშორება მშენებარე შენობასა და არსებულ მწვანე ნარგავს შორის შეადგენს 3 მეტრს. იმ შემთხვევაში თუ მოხდება არსებული ხე-ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა, საჭირო იქნება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული თანხმობის წარმოდგენა ხე-ნარგავების მოჭრასთან ან/და გადარგვასთან დაკავშირებით.
- საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად მიწის ნაკვეთი დატვირთულია იპოთეკით. იპოთეკარი არის სს ,,საქართველოს ბანკი“, უნდა წარმოადგინოთ იპოთეკის საფუძველი ან საჭიროების შემთხვევაში იპოთეკარის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე.

გაითვალისწინეთ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა განცხადებაში მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge